სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/147

ქ. თბილისი

29 ივლისი 2025 წ.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის №01-05-04/254 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის სამართლებრივი უზრუნველყოფისა და სტრატეგიული განვითარების სამსახურის უფროსის 20225 წლის 28 ივლისის სამსახურებრივი ბარათის (MES 5 25 0000920813) და აკადემიური საბჭოს 2025 წლის 29 ივლისის სხდომის №01-05-02/20 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის №01-05-04/254 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“ შეტანილი იქნეს ცვლილებები და ინსტრუქციის:

ა) მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. პროფესორი/მასწავლებელი (შემდგომში პროფესორი) ვალდებულია შეასრულოს მოქმედი კანონმდებლობით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების)

კანონმდებლობით და უნივერსიტეტის მართვის ორგანოების (მმართველი სუბიექტების) სამართლებრივი აქტებით და შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებები, მათ შორის, სწავლება და სტუდენტთა მიღწევების შეფასება განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის სილაბუსის მოთხოვნების დაცვით, სილაბუსით გათვალისწინებული სასწავლო მასალა (სახელმძღვანელო, დამხმარე სახელმძღვანელი, მეთოდური მითითებები და სხვ.) ატვირთოს ელექტრონულ პორტალზე elearning.gtu.ge. და სხვ.“

ბ) მე-4 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სემესტრი არის დროის პერიოდი, რომელიც მოიცავს სასწავლო კვირათა ერთობლიობას, დამატებითი გამოცდის/გამოცდების ჩატარებისა და დამატებით გამოცდაზე/გამოცდებზე სტუდენტის მიღწევის შეფასების პერიოდს. სტუ-ში ერთი სემესტრის განმავლობაში 13 კვირა სასწავლოა (სააუდიტორიო მეცადინეობების), 1 – შუასემესტრული გამოცდის, 1 – დოკუმენტური მასალის ჩაბარების და 3 – სასესიო (დასკვნითი და დამატებითი გამოცდების). სასწავლო პრაქტიკა, მისი სპეციფიკიდან გამომდინარე, შეიძლება ჩატარდეს როგორც სასწავლო კვირებში, ისე სხვა დროს.“;

გ) მე-6 მუხლის:

გ.ა) მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განსაზღვრული აქვს რაოდენობრივი მაჩვენებელი საბოლოო შეფასებაში. კერძოდ, შუალედური შეფასების მაქსიმალური ქულაა არაუმეტეს 60, ხოლო დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულა – არანაკლებ 40.
3. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. სტუდენტს კრედიტი ენიჭება ამ მუხლის მე-10 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ შეფასების კომპონენტში განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვრების გადალახვისა და ამ მუხლის მე-15 პუნქტით განსაზღვრული დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში.
4. შეფასების თითოეული კომპონენტი მოიცავს შეფასების მეთოდს/მეთოდებს, ხოლო შეფასების მეთოდი/მეთოდები იზომება შეფასების კრიტერიუმებით.";

გ.ბ) მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. შეფასების თითოეულ კომპონენტში განსაზღვრულია მინიმალური კომპეტენციის ზღვარი, რომელიც, საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, დგინდება სილაბუსის ავტორის მიერ. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს. შესაბამისი სფეროს უმაღლესი განათლების დარგობრივი მახასიათებლით გათვალისწინებულ შემთხვევებში,

დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვედრითი წილი შესაძლებელია აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60%-ს.";

დ) მე-8 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„8. სემესტრის დაწყებიდან პირველი 6 კვირის განმავლობაში ჩატარებული მიმდინარე შეფასებების აღდგენა უნდა დასრულდეს შესაბამის სასწავლო კურსში შუასემესტრულ გამოცდამდე, შუასემესტრული გამოცდის აღდგენა უნდა დასრულდეს მე-15 კვირის ბოლომდე (სესიების დაწყებამდე), მე-7 – მე-13 კვირების მიმდინარე შეფასებების აღდგენა – შესაბამის დასკვნით გამოცდებამდე, ხოლო დასკვნითი/დამატებითი გამოცდის აღდგენა – შემდეგი სემესტრის დასრულებამდე, დეკანატთან/საგამოცდო ცენტრთან/სასწავლო კურსის წამყვან პროფესორთან შეთანხმებულ დროსა და ადგილზე.".

ე) ინსტრუქციის დანართი №3 ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით (დანართი).

2. ეს დადგენილება, გარდა დადგენილების პირველი პუნქტის „ბ", „დ" და „ე" ქვეპუნქტებისა, ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

3. ამ დადგენილების პირველი პუნქტის „ბ", „დ" და „ე" ქვეპუნქტები ამოქმედდეს 2025/2026 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან.

4. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**